შპს „ანიგოზი“-სა და შპს „ანიგოზი+“-ს

კონსოლიდირებული სპეციალური დანიშნულების

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება....3

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება....5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება....6

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 7
1. კორპორატიულიინფორმაცია 7
2. მომზადებისსაფუძველი 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა....8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები....8
5. შემოსავალი რეალიზაციიდან....12
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 12
7. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან 12
8. საინვესტიციო ქონება 13
9. ფული და ფულის ექვივალენტები 13

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024(არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	10 224 422
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7 967 217)
მთლიანი მოგება		**2 257 205**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1 380 830)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	7	93 757
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		222 122
მოგება გადასახადის გადახდამდე		**1 192 254**
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება/(ზარალი)		**1 192 254**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2025 წლის 27 სექტემბერს:

ანა ქევხიშვილი
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024(არა აუდიტირებული)
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8	2 694 953
არამატერიალური აქტივები		-
ინვესტიციებისხვასაწარმოთაწილობრივინსტრუმენტებში		-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-
სულგრძელვადიანიაქტივები		**2 694 953**
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	9	761 931
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1 193 068
მარაგები		1 511 185
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		550 459
სხვა მიმდინარე აქტივები		632 124
სულ მიმდინარე აქტივები		**4 648 767**
სულ აქტივები		**7 343 720**
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		1 715 969
გაუნაწილებელი მოგება		2 223 193
სხვა რეზერვები		
სულკაპიტალი		**3 939 162**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		3 349 251
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**3 349 251**
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		55 307
საგადასახადო ვალდებულებები		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**55 307**
სულ ვალდებულებები და საკუთარ კაპიტალი		**7 343 720**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2025 წლის 27 სექტემბერს:

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში

(არააუდიტირებული)	კაპიტალის საწყისი ნაშთი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2024	**621 843**	**1 030 939**	**1 652 782**
კაპიტალის ცვლილება	1 094 126	-	1 094 126
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1 192 254	1 192 254
რეზერვები			
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	**1 715 969**	**2 223 193**	**3 939 162**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2025 წლის 27 სექტემბერს:

დირექტორი

ანა ქევხიშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

	2024
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(739 653)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	45 481
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1 287 608
წმინდა სრდა/კლება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	**593 436**
სავალუტო რისკის ეფექტი	
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	**168 495**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**761 931**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია დირექტორის მიერ 2025 წლის 27 სექტემბერს:

დირექტორი

ანა ქევხიშვილი

1. კორპორატიული ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ანიგოზი“ ს/კ 405383972 დაარსდა 2020 წლის 18 მარტს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2024 წლის 24 სექტემბერს შპს ანიგოზმა ს/კ 405383972 დააფუძნა შვილობილი კომპანია შპს ანიგოზი+ ს/კ 405730491 და წარმოადგენს მის 100%-იან წილის მესაკუთრეს.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა. შპს „ანიგოზი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კაკლის შესყიდვა საქართველოში და იმპორტის რეჟიმით, კაკლის გადამუშავება-დასაწყობების მომსახურების გაწევა, სხვა კაკლოვნებისა და ჩირეულის შესყიდვა საქართველოში და იმპორტის რეჟიმით, რეალიზაცია საქართველოში და ექსპორტზე; შპს „ანიგოზი+“-ის ძირითადი საქმიანობაა ქართული კაკლის შესყიდვა, რეალიზაცია საქართველოში და ექსპორტზე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. შპს „ანიგოზის“ ს/კ 405383972 იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სერგო ზაქარიაძის ქ. #8/85. ფაქტიური მისამართია საქართველო, სოფ. მარტყოფი. შპს „ანიგოზის +“ ს/კ 405730491 იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სერგო ზაქარიაძის ქ. #8/85. ფაქტიური მისამართია საქართველო, სოფ. მარტყოფი.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის შპს „ანიგოზის“ ს/კ 405383972 80%-იან წილს ფლობს ფიზიკური პირი ანა ქევხიშვილი პ/ნ 01024039137, 10%-იან წილს ფლობს ფიზიკური პირი გოგი ბოლქვაძე პ/ნ 01008052078, 10%-იანი წილს ფლობს ფიზიკური პირი ხათუნა ქევხიშვილი პ/ნ 01023001128. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვისა და დასასრულისთვის კომპანიის წილის მფლობელები უცვლელია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის შპს „ანიგოზის +“-ის ს/კ 405730491 100%-იან წილს ფლობს შპს „ანიგოზი“ ს/კ 405383972. საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის კომპანიის წილის მფლობელები უცვლელია.

ინვესტიციები: შპს „ანიგოზი“ ს/კ 405383972 ინვესტიციას ახორციელებს შპს „ანიგოზი +“-ის ს/კ 405730491 საბრუნავი საშუალებებისთვის.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით, ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა". სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის, რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესადარის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023წლის 31 დეკემბრის და 2024წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის და ხარჯის გათვალისწინებით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა სხვადასხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი კომპანია არის ისეთი ინვესტირებული საწარმო სტრუქტურიზებული საწარმოების ჩათვლით, რომელიც კონტროლდება ჯგუფის მიერ, რამდენადაც ჯგუფი უფლებამოსილია განსაზღვროს ინვესტირებული საწარმოს ის საქმიანობები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ამონაგებზე.

იმისათვის, რომ უფლება არსებითი იყოს, მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული შესაძლებლობა, მოახდინოს ამ უფლების რეალიზება, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი საქმიანობის მიმართულების თაობაზე. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან, ხოლო დეკონსოლიდაცია ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

შეძენის მეთოდით აღრიცხვა გამოიყენება შვილობილი კომპანიების შეძენის აღრიცხვისთვის. შეძენილი იდენტიფიცირებული აქტივები, ასევე ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, აღებული საწარმოთა გაერთიანების დროს, შეფასებულია შეძენის თარიღისთვის არსებული რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის ზომის მიუხედავად.

შიდაჯგუფური ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის კომპანიათა შორის გარიგებებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსავლები ელიმინირდება; ასევე ელიმინირდება არარეალიზებული ზარალი,

თუკი ღირებულების ანაზღაურება შეუძლებელია. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი კომპანია გამოიყენებს ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ოპერირებს. ჯგუფი ასევე ახორციელებს ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში, რადგან ასევე აწარმოებს კაკლოვანი კულტურების რეალიზაციას საერთაშორისო ბაზარზე.
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობა, როგორც შეფასებებს, ასევე იყენებს მსჯელობებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული პროდუქციის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება**. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც

შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის დროს.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობა	30-50
მანქანა-დანადგარები	10-50
ოფისისაღჭურვილობა	2-10
ტრანსპორტი	5-15

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება**. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გთვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. მაგალითად მანქანა დანადგარების სათადარიგო ნაწილები, სარემონტო მასალები ,აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებას, ეს იქნება ძირითადი საშუალება თუ მიმდინარე პერიოდის ხარჯი.კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ნეტო სარიალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულებისა გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკებით,

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორულიდავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებულიღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასის თანხით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის, რომ მოიპოვებს კლიენტისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული თანხებისა. ამონაგები აღიარდება წმინდა თანხით, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების, და დღგ-ს გარეშე.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებები რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულსაკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

ჯგუფის შემოსავლები მთლიანად შედგება კაკლოვნებისა და ჩირეულის რეალიზაციისგან.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024
ხელფასის ხარჯი	602 657
იჯარის ხარჯი	15 878
ცვეთა და ამორტიზაცია	91 557
რეკლამის ხარჯი	23 923
ტრანსპორტირების ხარჯი	79 177
მივლინების ხარჯი	42 255
ბანკის მომსახურების ხარჯი	9 168
დაზღვევის ხარჯი	-
კომუნალური ხარჯები	19 940
საპროცენტო ხარჯები	383 172
სხვა და სხვა ადმინისტრაციულიხარჯი	113 103
ჯამი	**1 380 830**

7. მოგება/ ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

	2024
დადებითი საკურსო სხვაობა	162 839
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(69 082)
ჯამი	**93 757**

8. საინვესტიციო ქონება

	მიწა	მანქანა დანადგარები	შენობები-ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	ჯამი
ნაშთი 01-01-2024	539 000	1 356 640	866 048	96 392	75 049	2 933 129
დამატება		16 720	-	15 678	12 899	45 297
ნაშთი 31-12-2024	539 000	1 373 360	866 048	112 070	87 918	2 978 426
ცვეთა						
ნაშთი 01-01-2024		(102 430)	(68 026)	(11 759)	(9 701)	(191 916)
წლის დარიცხვა		(47 442)	(29 232)	(8 030)	(6 853)	(91 557)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2024 წელი		**(149 872)**	**(97 258)**	**(19 789)**	**(16 554)**	**(283 473)**
საბალანსო ღირებულება 31 დეკ. 2024 წელი	**539 000**	**1 223 488**	**768 790**	**92 281**	**71 364**	**2 694 953**

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2024
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	899
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	98 970
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	662 015
ჯამი	**761 931**

დირექტორი

ანა ქევხიშვილი